საცხენოსნო სპორტი და მისი როლი საქართველოში ტურიზმის განვითარებაში

DOI:10.36962/ECS106/3-5/2024-40

მანანა ცინცაძე
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი
E-mail: cincadzemanana@yahoo.com
ნათია ნატროშვილი
ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
E-mail: natianatroshvili@mail.ru
ნაილე ორჯანელი
მეცხოველეობის აკადემიური დოქტორი
E-mail: nailiorjaneli@mail.ru

რეზიუმე

მოცემულია მეცხენეობის მიმართულების ზოგადი დახასიათება, კერძოდ,საცხენოსნო სპორტის ნაირსახეობაზე და მის ჩართულობაზე საქართველოში საცხენოსნო ტურიზმის განვითარების კუთხით. სტატიაში მოკლედ წარმოდგენილია საცხენოსნო სპორტის ისტორია და აბორიგენული ჯიშების ჩართულობა საქართველოში ტურიზმის განვითარების მხრივ, რომელიც, ასევე შექმნის სამუშაო ადგილებს და მნიშნელოვან როლს ითამაშებს ხალხის დასაქმებაში, რაც ეკონომიკური თვალსაზრისით ქვეყნისთვის მეტად მომგებიანია. ნაშრომში ყურადღება არის გამახვილებული იმ ძირითადი რგოლის-ცხენსაშენის ჩამოყალიბებაზე, სადაც დასაქმებული უნდა იქნეს მხოლოდ მაღალკვალიფიცირებული მეცხოველე სპეციალისტები, რომლებიც მოშენების მეთოდების გამოყენებით და სელექციური მუშაობის შედეგად მიღებული თაობის სწორი მოვლა-შენახვის და კვების პირობების შექმნით საცხენოსნო ტურიზმის აღორძინებას ხელს შეუწყობს. აღსანიშნავია, რომ საცხენოსნო ტურიზმი გავრცელებული ფორმაა, რომელიც ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ადამიანის და ცხენის ურთიერთობის ჰარმონიული დამოკიდებულებას წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საცხენოსნო ტურიზმის განვითარების ფართო მასშტაბი შეიქმნა. კერძოდ გაჩნდა ახალი მარშუტები, რომელიც ტურისტს საშუალებას აძლევს გაეცნოს საქართველოს ბუნებრივ სილამაზეს.

საკვანძო სიტყვები: მეცხენეობა, საცხენოსნო სპორტი, საცხენოსნო თამაშები, ხედნილობა, სამჭიდი, კონკური, რბოლა, ნავარდი, ჯირითი, დოღი, ნიზაკი, პაპახ-იონუ, როდეო, ისინდი, ყაბახი.

შინაარსი

მეცხოველეობა საქართველოში უძველესი დარგია და მათ შორის მეცხენეობა, რომელიც გამოირჩევა თავისი წარსულით, აწმყოთი და მომავლით. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ისტორიაში ცხენსაც და მისდამი დამოკიდებულებას შეიძლება ითქვას საპატიო ადგილი ეკავა. მეცხენეობის მრავალი მიმართულებიდან არ შეიძლება არ გამოვყოთ საცხენოსნო სპორტი.

ამ სტატიაში მოვახდენთ საცხენოსნო სპორტის ზოგად დახასიათებას, შევეხებით მისი განვითარების ისტორიას და სასპორტო სახეობებს. ასევე გავაშუქებთ საქართველოში ტურიზმის განვითარებაში ცხენის როლზე, რომელიც შეიძლება ითქვას ტურიზმის განვითარებასთან ერთად ცხენზე მოთხოვნილებაც იზრდება და ქმნის კოლორიტს ტურიზმის სფეროში, რაც მჭიდრო კავშირშია ჩვენის ქვეყნის ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად, კერძოდ ტურიზმის აღმავლობის მიმართულებით.

საცხენოსნო სპორტი შეიცავს სპორტის ზოგიერთ სახეს, რომელსაც, შეიძლება ითქვას, ადგილობრივი ნაციონალური მნიშვნელობა აქვს. ზოგიერთი საცხენოსნო სპორტი ლამაზი სანახაობის გამო მიმზიდველი გახდა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

ისტორიულ ქრონოლოგიის მიხედვით საცხენოსნო სპორტის ჩასახვა დაიწყო II-III საუკუნეში ჩვენს ერამდე. ამ პერიოდში ცხენს ძირითადად სამხედრო საქმიანობისთვის იყენებდნენ, რისთვისაც საჭირო იყო ცხენის სპეციალური მომზადება, რაშიც იგულისმებოდა - ცხენის ფიზიკური ძალის განვითარება, გამბედაობა, ამტანობა, სისწრაფე და მოქნილობა. საცხენოსნო სპორტი უაღრესად განვითარებული იყო საბერძნეთში ჩვენს ერამდე პირველი ათასწლეულის შუალედში. მათ რიცხვში შედიოდა საცხენოსნო ასპარეზი (ეტლით რბოლა, შემდეგ კი განვითარდა ცხენითა და ჯორით დოღი). ეს უკანასკნელი კი ოლიმპიურ თამაშებშიც ჩართეს.

საცხენოსნო სპორტის განვითარების ისტორიაში ასევე დიდი წვლილი მიუძღვის იტალიასაც, ხოლო ევროპის სხვა ქვეყნებში უკვე ფეხს იკიდებდა ისეთი ჯიშების გამოყვანა, რომელიც უშუალოდ მონაწილეობას მიიღებდა საცხენოსნო სპორტის სხვადასხვა სახეობებში. რაც შეეხება შუა აზიაში და კავკასიის ქვეყნებში საცხენოსნო სპორტის დატვირთვა უფრო ნაციონალური ხასიათის მატარებელი აღმოჩნდა. საცხენოსნო სპორტის სხვადასხვანაირ შეჯიბრებებსა და თამაშებს შორის ფართოდ არის გავრცელებული: ხედნილობა, სამჭიდი და კონკური. ხედნილობა არის სპორტის ის სახეობა, როდესაც მხედარმა თავისი დახელოვნება უნდა გამოავლინოს. ამ დროს ცხენმა წრთვნის სწორი შესწავლის საფუძველზე უნდა შეასრულოს სწორი მოძრაობა ყველა ბუნებრივ სვლაზე (ნაბიჯი, რბოლა, ნავარდი). გარკვეულ ფიგურებსა და ვარჯიშებს დამაჯერებლად უნდა ასრულებდეს.

ხედნილობაში შეჯიბრი მიმდინარეობს დახურულ მანეჟში ან ღია 60X20 მეტრიან სწორი ფართობის მოედანზე. ხედნილობის დროს ცხენის უკეთ მართვისთის გამოიყენება მუდშტუკიანი აღვირი, რომელიც ბერკეტის ტიპის მოწყობილობაა, რითაც აადვილდება მხედრის მიერ ცხენის კისრის მოხრა და თავის შვეულად დაკავება. მუდშტუკის მოქმედების გაძლიერების მიზნით მასზე მიმაგრებულია სპეციალური ძენკვი, რომელიც გატარებულია ცხენის ნიკაპქვეშ. სამჭიდი ასევე საცხენოსნო სპორიტის სახეობაა, რომელშიც შედის სამანეჟო სვლა, საველე გამოცდა და დაბრკოლებათა გადალახვა.

ამ სპორტის ჩატარების ხანგრძლივობა გრძელდება სამი დღე რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: პირველ დღეს სრულდება სამანაჟო სვლა, რომელიც ხედნილობის გამარტივებულ მაგალითს წარმოადგენს. მეორე დღეს - საველე გამოცდა ტარდება, სადაც გამოცდის ჩატარების ტრასას ოთხ ნაწილად ყოფენ. პირველი და მესამე ტრასა არის - 20-20 კმ სიგრძის. ამ ტრასებზე მხედარმა უნდა იმოძრაოს ცვლადი ალურით დროის გარკვეულ მომენტში, ტრასის მეორე მონაკვეთი, რომელიც არის 3600 მ სიგრძის მხედარს ხვდება დაბრკოლებები, დაახლოებით 10-12, ხოლო თვითოეული დაბრკოლება დაახლოებით 120 სმ-ის სიმაღლის არის. დაჯახებისას ეს დაბრკოლება ინგრევა. მეოთხე მონაკვეთისთვის კი გამოყოფილია ისეთი ადგილები, სადაც არის ციცაბო აღმართი, ხევი, არხი, ტყე, ჯაგნარი და სხვა ბუნებრივი დაბრკოლებები. მეოთხე ტრასის მონაკვეთის სიგრძეც დაახლოებით 7200 მ, სადაც დაახლოებით 28 ყრუ დაუნგრეველ დაბრკოლებებს აწყობენ, რომელთა სიმაღლე დაახლოებით 110-120 სმ ტოლია, ხოლო ფუძე 3 მეტრს აღწევს.

მესამე დღეს ხდება ცხენის ვეტერინარული შემოწმება და შემდეგ სრულდება ღია სივრცეში შეჯიბრი დაბრკოლებათა გადალახვაში. სივრცის ფართობი არის ფერდობზე დაახლოებით 150X100 მეტრამდე სიდიდის. ყველაზე კლსიკურ სპორტს მეცხენეობაში წარმოადგენს დაბრკოლებათა გადალახვა იგივე კონკური. ამ სპორტს გააჩნია თავისი სახეები, რომელიც ლიტერატურაში ცნობილია- „მსუბუქი კლასი“, „საშუალო კლასი“, „ძნელი კალსი და „უმაღლესი კლასი“, რასაც საფუძვლად უდევს შეჯიბრში მონაწილე სპორტსმენის სპორტული კლასიფიკაცია.

კონკურისათვის დაბრკოლებათა გადასალახავად კეთდება სპეციალური სადგომი და მასზე ამაგრებენ ლატანს, ღობეს, შლაგბაუმს, „ქვის კედელს“, რომელსაც ამზადებენ ხის მასალისგან.

ასევე ფიჩხის ღობეს და სხვა. დაბრკოლებები დაახლოებით ყოველ 3-4 მეტრზე კეთდება . კონკურის ძირითადი სახეების ტექნიკური მაჩვებელი ასე გამოიყურება: (წყარო „მეცხენეობა“ პროფ. ა.ს. კრასნიკოვის ტედაქციით. გამომცემლობა „განათლება“ 1991 წ)

კონკურის ძირითადი სახეების მახასიათებლები. ცხრილი 1

კონკურის კატეგორია	ნახტომის რაოდენობა	დაბრკოლების სიმაღლე (სმ)	დაბრკოლების სიგანე (სმ)	მოძრაობის სიჩქარე (წთ)
მსუბუქი კლასი	8	90-100	120-მდე	300
საშუალო კლასი	12	100-110	150-მდე	350
ძნელი კლასი	15-16	140-მდე	200-მდე	350
უმაღლესი კლასი	16	170-მდე	300-მდე	400

ასევე არსებობს საცხენოსნო სპორტი სტიპ-ჩეზი იგივე დოღი, რომელიც დაბრკოლებების გალახვით მიმდინარეობს. ეს სახეობა ძირითადად გავრცელებულია ინგლისა და ზოგიერთ ქვეყანაში. საქართველოში საცხენოსნო სპორტიდან ყველაზე მეტად გავრცელებული არის ჯირითი, რომლის დროსაც გაჭენებულ ცხენზე მხედარი ასრულებს სხვადასხვა სპორტულ ილეთებს.

გარდა საცხენოსნო სპორტისა ასევე არსებობს საცხენოსნო თამაშები, როგორიცაა საქართველოში გავრცელებული ისინდი, რომელიც ასევე ჯირითის სახეობაა და მონაწილეობს ორი გუნდი. არსებობს კიდევ ყაბახი, რომელიც შეიძლება აღიქვას როგორც ქართული-სომხური საცხენოსნო თამაში, შეიძლება ჩამოვთვალოთ სხვა თამაშები: ოდარიში - რომელიც ცხენოსანთა ორთაბრძოლას წარმოადგენ, სუპახი - ცხენოსნური კალათბურთი, ნიზაკი - გაქანებული ცხენიდან ისრით დამარცხება, სახუმარო თამაში-პაპახ-ოინუ იგივე ფაფახის წართმევა, ასევე აშშ-ში გავრცელებული როდეო, რომელშიც ძირითადად კოვბოები მონაწილეობენ და სხვა.

საქართველოში ოდითგანვე იყო მეცხენეობა განვითარებული, რასაც ადასტურებს ადგილობრივი, აბორიგენული ჯიშების არსებობის მრავალფეროვნება. თითქმის საქართველოს ყველა კუთხეში შესაბამისი აღნაგობის ცხენის ჯიშები (კახური, თუშური, მეგრული, სამცხე-ჯავახური და სხვა) ჩამოყალიბდა, რომელიც ერგებოდა მათ გეოგრაფიულ-კლიმატურ პირობებს. მაგალითად მეცხენეობა კარგად იყო განვითარებული თუშეთში, კახეთში, ერწო-თიანეთში, რასაც ხელ უწყობდა მაღალპროდუქტიული საძოვრების არსებობა.

ასევე ტრადიციულად არსებობდა ცხენის ჯოგები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე - ქვემო რაჭაში, სამეგრელოში სვანეთში და სხვა. საწარმოო ძალების განვითარებისა და მექანიკური ძალების და ენერგიის ახალი წყაროების დანერგვით ცხენები გამოდევნილი იქნა მატერიალური წარმოებიდან. მუშა ცხენების როლის შემცირებამ გამოიწვია მეცხენეობის განვითარების ძირითადი მიმართულების შეცვლა-სპოტული, პროდუქტიული და საჯიშე.

საჯიშე მეცხენეობა გამოდის პირველ რიგში როგორც სხვა მიმართულების განვითარების საბაზისო შესაძლებლობა, მეორეს მხრივ, როგორც დამოუკიდებელი დარგი, რომელიც საფუძველია სპორტული ცხენოსნობის განვითათარების. ამასთან დაკავშირებით დიდ მნიშვნელობას იძენს საჯიშე მეცხენეობის დარგის ეკონომიკა და ორგანიზების საკითხები.

თანამედროვე ბაზრის პირობებში ეფექტიანობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, პირველ რიგში არსებული რესურსების რაციონალურ გამოყენებასთან, რომელიც გაზრდის დარგობრივ სტრატეგიულ კონკურენტუნარიანობას, რაზეც მეტყველებს მეცხენეობის რესურსების გამოყენება საზღვარგარეთის ქვეყნებში.

დღეისთვის საქართველოში მეცხენეობა მოიზარება, სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებით, როგორვ საცხენოსნოს ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი მამოძრავებელი მიმართუ-

ლება, რომელიც შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს, გაზრდის რეგიონის მიმზიდველობას და იქნება შემოსავლის წყარო ადგილობრივი მოსახლეობისთვის. რაც ასევე ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესს. საქართველოში საცხენოსნო ტურიზმი იძლევა საშუალებას ტურისტი ისეთ ადგილებში მოხდეს, სადაც ტრანსპორტით მიღწევა შეუძლებელია.

საქართელოში არსებობს ასოციაციები, კერძოდ „Horse Tours Georgia"-ს, აესვე პირველი რეგისტრირებული საცხენოსნო ტურების ჯგუფები, ტურისტული კომპანია ზეთა (ZETA), რომლებიც კურირებენ საცხენოსნო ტურების ჩატარებას. ჩვენს ქვეყანაში საცხენოსნო ტურიზმის განვითარებას თან სდევს აუცილებლად ისეთი ძირითადი რგოლის შექმნა, როგორიცაა მეცხენეობაში სამომშენებლო მუშაობის გაფართოება და სწორი ორიენტებით სასელექციო მუშაობის ჩატარება. მიღებული თაობას კი შეექმნას სწორი მოვლა-შენახვის და კვების პირობები, რაც ხელს შეუწყობს ცხენის ისეთ ფორმირებას, რაც დააკმაყოფილებს თანამედროვე საცხენოსნო ტურიზმის მოთხოვნებს. ამისთვის კი ძირითად რგოლებში უნდა მოხდეს მეცხოველე სპეციალისტების ჩართვა, რაც ასევე დადებითად იმოქმედებს მეცხენეობის შემდგომ განვითარებაზე. ეს კი შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს, რაც თანამედროვე ეკონომიკაზე ასევე დადებითად იმოქმედებს და ხელს შეუწყობს ახალგაზრდების და სპეციალისტების დამაგრებას ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში.

ამრიგად, საცხენოსნო სპორტის განვითარებას, მის სამომავლო გზებს და ჩვენს ქვეყანაში მეცხნეობის განვითარებას მჭიდრო კავშირი აქვს ტურიზმთან, რომელიც ორგანულად იქნება დაკავშირებული მეცხოველეობის სფეროს სპეციალისტებთან. ყოველივე ეს მთლიანობაში შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს და ადამიანის რესურსი იქნება მაღალ დონეზე გამოყენებული, რაც დადებითად იმოქმედებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კრასნიკოვის რედაქციით - „მეცხენეობა" გამომცემლობა განათლება 1981 წელი

2. მ.ცინცაძე. ნ.ორჯანელი. ნ. ნატროშვილი - „ცხოველებთან მუშაობა" გამომცემლობა „მწიგნობარი" 2022 წ

3. რ. მიტიჩაშვილი „ცხოველთა მომშენებლობა' თბ. 2010 წ

4. საცხენოსნო ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში file:///C:/Users/Nai/Downloads/admin,+21+%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98-224-233%20(1).pdf (მომქმედი საიტი. 9/02/24 წ)

5. თუშური, მეგრული და ჯავახური ცხენი – მეცხენეობა საქართველოში https://agrokavkaz.ge/dargebi/mecxoveleoba/thushuri-megruli-da-javakhuri-tskheni-metskheneoba-saqarthveloshi.html (მომქმედი საიტი 9/02/24 წ).

REFERENCES:

1. Edited by Krasnikov - "Equestrian" Publishing House Education 1981

2. M. Tsintsadze. N. Orjaneli. N. Natroshvili - "Working with animals" publishing house "Mbtebobari" 2022

3. R. Mitichashvili "Animal breeding" Vol. 2010

4.Development prospects of equestrian tourism in Georgia file:///C:/Users/Nai/Downloads/admin,+21+%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98-224-233%20(1).pdf (active site. 9/02/24)

5. Tushur, Megruli and Javakhur horse - horse riding in Georgia - https://agrokavkaz.ge/dargebi/mecxoveleoba/thushuri-megruli-da-javakhuri-tskheni-metskheneoba-saqarthveloshi.html (active site. 9/02/24)

EQUESTRIAN SPORT AND ITS ROLE IN THE DEVELOPMENT OF TOURISM IN GEORGIA

Manana Tsintsadze
Doctor of Agricultural Sciences
E-mail: cincadzemanana@yahoo.com;
Natia Natroshvili
Doctor of Veterinary Sciences
E-mail: natianatroshvili@mail.ru;
Naile Orjaneli
Academic Doctor of Animal Husbandry.
E-mail: nailiorjaneli@mail.ru

RESUME

The article discusses the general characterization of the equestrian direction, in particular the variety of equestrian sports and its involvement in the development of equestrian tourism in Georgia. The article briefly and well presents the history of equestrian sports and the involvement of aboriginal breeds in the development of tourism in Georgia, where the creation of workplaces and employment of people is also included, which is beneficial for the country in the economic sphere. The article also focuses on the establishment of the main link called horse breeding, where only highly qualified livestock specialists should be employed, who will contribute to the revival of equestrian tourism by creating conditions for the care and nutrition of the generation of horses obtained as a result of selective work and using breeding methods. It should be noted that equestrian tourism is a widespread form, which represents a harmonious relationship between man and horse in an ecologically clean environment. It should be noted the fact that the development of equestrian tourism has been developed on a large scale. In particular, new routes have appeared, and Tomel allows tourists to get to know the natural beauty of Georgia.

Keywords: horse riding, equestrian sports, equestrian games, vision, triathlon, show jumping, racing, galloping, riding, horse racing, Nizak, Papakh-Ionu, rodeo, Isindi, pumpkin.